დანართი 2

ვიდეორგოლების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ქვეყნის მასშტაბით იგეგმება ძალადობის წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია „ნაბიჯი თანადგომისკენ. . . “. კამპანია იწყება **19 ნოემბრიდან**- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღეს და სრულდება **10 დეკემბერს** – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს.

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს ვიდეო-რგოლების კონკურსი **„ნაბიჯი თანადგომისკენ“**

კონკურსის მიზანია მოზარდები დააფიქროს იმ ადამიანებზე, რომელთა უფლებები შეზღუდული იყო ან დღესაც იზღუდება; ადამიანებზე, რომელთაც უწევთ დამცირების, ტკივილის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ატანა, ვინაიდან არ აქვთ თანატოლების, ახლობლებისა და საზოგადოების მხარდაჭერა.

<u>კონკურსის პირობები:</u>

- ვიდეორგოლის ავტორი/ავტორები (ლოჯისტიკა, იდეის/სცენარის ავტორი, რეჟისორი, ოპერატორი) შესაძლებელია იყვნენ საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII კლასები) მოსწავლეები.
- ვიდეორგოლის გადაღების მეთოდი შეზღუდული არ არის (შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც პროფესიული კამერა, ისე მობილური აპარატი და სხვა);
- ვიდეორგოლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 წუთს; (მნიშვნელოვანია, რეალური ისტორიების ასახვის შემთხვევაში, ვიდეორგოლში წარმოდგენილი პირების სახელები, გვარები, საცხოვრებელი ადგილი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს);
- სკოლამ საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნულ თემაზე შექმნილი არაუმეტეს 2 ვიდეორგოლი;
- საკონკურსო ვიდეორგოლი (არაუმეტეს ორისა) სკოლის ადმინისტრაციის მიერ უნდა აიტვირთოს ინტერნეტსივრცეში. ვიდეორგოლის სახელწოდებაში უნდა მიეთითოს სკოლის დასახელება;

<u>საკონკურსო მასალის გაგზავნის წესები:</u>

- სკოლის ადმინისტრაციამ ინტერნეტ სივრცეში ატვირთული საკონკურსო ვიდეორგოლის ბმულის მისამართი და ინფორმაცია მისი ავტორის/ავტორების შესახებ (სახელი, გვარი, კლასი, საკონტაქტო მონაცემები) სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით უნდა გადმოაგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე: konkursebi@mes.gov.ge;
- ელექტრონული ფოსტის „subject” ველში მითითებული უნდა იყოს სკოლის სრული დასახელება;

<u>გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:</u>

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შექმნილი კომისია შეარჩევს არაუმეტეს 10 საუკეთესო ვიდეორგოლს, რომელთაგან გამოვლინდება თითო-თითო I, II, III ადგილებზე გასული რგოლები. კომისია უფლებამოსილია, საკონკურსო მასალების შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, რომელიმე ზემოაღნიშნულ საპრიზო ადგილზე არ წარადგინოს გამარჯვებული.
- I, II, III ადგილებზე გასული რგოლების ავტორი/ავტორთა ჯგუფი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით:
  I ადგილი-700 ლარი (დაქვითვის გარეშე);
  II ადგილი-500 ლარი (დაქვითვის გარეშე);
  III ადგილი - 400 ლარი (დაქვითვის გარეშე);

დანარჩენ (არაუმეტეს 7 ვიდეორგოლის ავტორს/ავტორებს გადაეცემათ წამახალისებელი სიგელები;

<u>შეფასების კრიტერიუმები:</u>

- ვიდეორგოლის შინაარსის თემასთან შესაბამისობა;
- იდეის ორიგინალურად და ლაკონურად გადმოცემის უნარები;
- რგოლის შინაარსის (სცენარის) **მხარდაჭერასა და თანადგომაზე ორიენტირება;**

ვიდეორგოლი არ უნდა იძლეოდეს რეალური პერსონების იდენტიფიცირების საშუალებას; გამოხატავდეს პოზიტივს და არა აგრესიას.

პლაგიატის შემთხვევაში (მაგალითად, ინტერნეტსივრცეში ანალოგიურ თემაზე მომზადებული ვიდეორგოლების იდეის, სცენარის გამოყენება) ნაშრომი არ განიხილება.

	ბიუჯეტი			
#	დანახარჯის სახე	ერთეულის ფასი	მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი	საერთო თანხა
1	**საპრიზო ფონდი**			2000
1	I ადგილი	875	1	875
1	II ადგილი	625	1	625
1	III ადგილი	500	1	500
2	**დიპლომების /სიგელების ბეჭდვა**	1	25	25
ჯამი				**2025**